დანართი №3

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	აკადემიური წერა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის) Academic Writing
სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები	ქეთევან გოჩიტაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი - თსუ ენების ცენტრი (ტელ.: 5 99 90 57 61; ელ.ფოსტა: ketevan.gochitashvili@tsu.ge) გიული შაბაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი - თსუ ასოცირებული პროფესორი (ტელ.: 5 99 72 88 73; ელ.ფოსტა: giuli.shabashvili@tsu.ge)
ლექტორი/ლექტორები	ქეთევან გოჩიტაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი - თსუ ენების ცენტრი (ტელ.: 5 99 90 57 61; ელ.ფოსტა: ketevan.gochitashvili@tsu.ge) გიული შაბაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი - თსუ ასოცირებული პროფესორი (ტელ.: 5 99 72 88 73; ელ.ფოსტა: giuli.shabashvili@tsu.ge)
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც განკუთვნილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის
ECTS	**5 კრედიტი** • საკონტაქტო (სააუდიტორიო) 45 სთ. სემესტრში - ლექცია 15სთ. 15 სთ. (1სთ. x 15კვირაზე) - პრაქტიკუმი 30სთ. 30 სთ. (2სთ. x 15კვირაზე) - შუალედური გამოცდის ჩატარება (2სთ x 1 სემესტრში სემინარის/პრაქტიკუმის ხარჯზე) - დასკვნითი (კომბინირებული) გამოცდის ჩატარება 3 სთ. (წერილობით/ზეპირი) • სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა 77 სთ. - მზადება ლექცია-სემინარისა და პრაქტიკუმისთვის 57 სთ. - მზადება შუალედური გამოცდისთვის 5 სთ. - მზადება დასკვნითი გამოცდისთვის 15 სთ.
სასწავლო კურსის მიზნები	სასწავლო კურსის მიზანია, დოქტორანტებს გამოუმუშავდეთ სამეცნიერო ტექსტის შექმნის უნარ-ჩვევები. სალექციო კურსი აგებულია საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული აკადემიური წერის პრინციპებზე, დაწვრილებით არის განხილული სამეცნიერო ნაშრომის შექმნის ხერხები და საშუალებები. გარდა ამისა, კურსის მიზანია, დოქტორანტები დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით გაეცნონ მათთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების გზებს, საშუალებებს, კვლევის მეთოდებს. კურსის

	შინაარსი ითვალისწინებს ლოგიკური არგუმენტის შექმნის, არგუმენტირებული მსჯელობის ჩამოყალიბების უნარის განვითარებას. კურსის ფარგლებში გარკვეული დრო ეთმობა კრიტიკული აზროვნების, კითხვისა და წერის უნარების ჩამოყალიბებას. კურსის მიზანია, მოამზადოს დოქტორანტები სადისერტაციო ნაშრომის შექმნისათვის, მისი ტექნიკური გამართვისა და გაფორმებისათვის, აგრეთვე სამეცნიერო დისკუსიისა და სამეცნიერო ნაშრომის საჯარო წარდგენისათვის. პრაქტიკული სამუშაოების სახით კურსი ითვალისწინებს მართლწერისა და ორთოგრაფია-პუნქტუაციის წესების ცოდნის დახვეწას სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით.
სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები	წინაპირობას არ საჭიროებს
სწავლის შედეგები აღწერილი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციებით	კურსი შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს, გაიღრმავონ სამეცნიერო ტექსტების შექმნის უნარები და, აგრეთვე, დაეუფლონ აკადემიურ გარემოში მათი პრეზენტაციის ტექნიკას. შეისწავლიან საერთაშორისო მიმოქცევაში არსებულ დამოწმების წესებს, გამოყენებული კვლევის მეთოდების ასახვას ნაშრომში, კრიტიკული/ ანალიტიკური აზროვნების, კითხვისა და წერის უნარს, ტექნოლოგიების გამოყენებას სამეცნიერო ტექსტის შექმნისა და წარდგენისას. ***ცოდნა და გაცნობიერება*** ▪ აკადემიური წერის კურსი კურსი აგებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებზე. ამ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს სამეცნიერო ტიპის ტექსტების შექმნასა და გაფორმებას თანამედროვე სტანდარტების მიხედვით: • საკუთარი პოზიციის ფორმულირება აკადემიური ფორმით და დამტკიცება. • სხვების პოზიციის შეფასება/განხილვა კორექტული სახით. • წერის დროს ადეკვატური ლექსიკისა და ენობრივი სტილის გამოყენებას. • ნაშრომის გაფორმებას ციტირების თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები** • აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზია...) შექმნა. • შეფასებისა და დასკვნის უნარი. • განსახილველი პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება/არგუმენტირება და მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა. ***კომუნიკაციის უნარი:*** • წარმატებული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აკადემიურ გარემოში. • ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციური წესების დაცვა. • დისკუსიაში მონაწილეობის უნარი. ***სწავლის უნარი:***

	• დამოუკიდებლად და ჯგუფურად მუშაობა. • საკუთარი ცოდნის მუდმივად და თანამიმდევრულად შემოწმება-შეფასება. *ღირებულებები:* • ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული ღირებულებებთან ზიარება. • სოციოკულტურული კომპეტენციები.
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	**სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები:** **პრაქტიკული მეცადინეობა:** პედაგოგი სტუდენტებს წარუდგენს ახალ მასალას და განამტკიცებს მას პრაქტიკული მაგალითებითა და სავარჯიშოებით. დოქტორანტები ამუშავებენ სხვადასხვა სამეცნიერო სტატიას, საკონფერენციო თეზისებს, აანალიზებენ, აფასებენ აკადემიური წერის პრინციპების მიხედვით, აკეთებენ დასკვნებს და ამოწმებენ საკუთარ ცოდნას. **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა:** პრაქტიკული მუშაობისას მიღებულ ცოდნას სტუდენტი განიმტკიცებს დამოუკიდებლად მუშაობით. ეს მას უვითარებს, ერთი მხრივ, ავტონომიურად მუშაობის უნარს და, ამავე დროს, თვითორგანიზებულობას, საკუთარი საჭიროებების განსაზღვრისა და მათზე მუშაობის უნარს. **დისკუსია-დებატები:** პედაგოგი სტუდენტებს წარუდგენს სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე სადისკუსიო საკითხს. საჭიროების შემთხვევაში ახდენს მის ფასილიტირებას. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობის, კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთებისა და დაცვის უნარს ეთიკური პრინციპების დაცვის გათვალისწიებით; **წერითი მუშაობის მეთოდი:** გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: თანამშრომლობითი წერა, შეფასებების წერა, თეზისების შედგენა, რეცენზიის დაწერა, სამეცნიერო სტატიის შექმნა, ტექსტის გასწორება ენობრივი და სტილისტური თვალსაზრისით. **წიგნზე მუშაობის მეთოდი:** საკითხთან დაკავშირებული მასალების მოძიება, დაჯგუფებას, სისტემატიზება და დამუშავება სასწავლო ამოცანების შესაბამისად. **როლური და სიტუაციური თამაშები:** სასწავლო ამოცანებიდან გამომდინარე, სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური

	თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც სტუდენტს უყალიბებს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს. **ჯგუფური მუშაობა:** მასწავლებელი სტუდენტებს ყოფს ჯგუფებად და აძლევს დავალებას. ჯგუფის წევრები ამუშავებენ საკითხებს, უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის ფუნქციები გადანაწილდეს. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **თანამშრომლობითი სწავლება:** ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. **ელექტრონული სწავლება:** სასწავლო პროცესში ჩართულია სასწავლო კურსით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. **პრეზენტაცია:** არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას. **დემონსტრირების მეთოდი:** სწავლის პროცესში პედაგოგი სასწავლო მასალას წარუდგენს ვიზუალურად.

	ახსნა–განმარტებითი მეთოდი: ითვალისწინებს შესასწავლი საკითხის ირგვლივ მსჯელობას. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითები და დეტალურად განიხილავს მათ.
შეფასების სისტემა და კრიტერიუმები	დოქტორანტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამოკითხვის წერითი, ზეპირი და შერეული ფორმები. სასწავლო პროცესი წარიმართება 15–20 კაციან ჯგუფებში, გათვალისწინებულია: ინტერაქტიული 15 ლექცია, 29 პრაქტიკული მეცადინეობა, 1 კოლოკვიუმი, საბოლოო გამოცდა ჩატარდება კომბინირებულად (სულ 40 ქულა): პრეზენტაცია (სასწავლო სემესტრის განმავლობაში შექმნილი სამეცნიერო სტატიის წარმოდგენა) შეფასდება 30 ქულით, საბოლოო საგამოცდო ტესტი შეფასდება 10 ქულით. **ლექციებზე დასწრება - 5 ქულა;** **შუალედური წერა - 15 ქულა;** 1. **12-15 ქულა:** პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. 2. **8-11 ქულა:** პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. 3. **5-7 ქულა:** პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები. 4. **3-4 ქულა:** პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. 5. **1-2 ქულა:** პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის

	მხოლოდ ცალკეული ფრაგმნენტები. 6. **0 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **პრაქტიკული მეცადინეობა - 40 ქულა;** წერითი და ზეპირი საშინაო და სააუდიტორიო დავალებები: 1. კვირეული: მაქსიმუმ 2 ქულა (14 კვირა X 2 ქულა) 2. მასალის ინდივიდუალურად მოძიება ხვადასხვა წყაროში და მისი სათანადოდ დამუშავება - 12 ქულა **საბოლოო გამოცდა - 40 ქულა.** ტესტირებული ნაწილის შეფასება მითითებული იქნება კონკრეტული კითხვის მიხედვით **წერილობითი გამოცდა:** **ტესტი - 10 ქულა** **სტატია – 30 ქულა** სტატიის შეფასების კრიტერიუმები: 1. **25–30 ქულა:** პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა. ნაშრომში წარმოდგენილია სათანადო სტრუქტურა და დაცულია აკადემიური წერის პრინციპები. 2. **19–24 ქულა:** პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდეომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. 3. **9–18 ქულა:** პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები. 4. **5–8 ქულა:** პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. 5. **1-4 ქულა:** პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმნეტები. 6. **0 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

	საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: 11 ქულა.
სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	ლექტორების მიერ მომზადებული რიდერი (რომელიც სახელმძღვნელოდ გამოიცემა 2018 წლის გაზაფხულზე) ელექტრონული კურსი, რომელიც განთავსებულია თსუ მუდლის პლატფორმაზე: e-learning.tsu.ge
დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	• ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, ანალიტიკური წერა, თბილისი, 2012, გვ. 230 • *ლია წულაძე, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, თბ. 2008* • http://css.ge/files/BooBo/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_ssaxelomzg.pdf • ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ფუნქციური წერა, www.cciir.ge, 320 გვ. • ლ. კაჭარავა, ხ. მარწყვიშვილი, ლ. ხეჩუაშვილი, აკადემიური წერა დამწყებთათვის, თბილისი, 2007, 120 გვ. • ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ნ. შარაშენიძე, აკადემიური წერა, თბ. 2014. • ქეთევან გოჩიტაშვილი, ნანა დანელია, სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში, თბილისი, 2005, 275 გვ. • შუქია აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2003, 130 გვ. • თენგიზ სანიკიძე, ინგა სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი, 2009, 177 გვ. • ნანა გაფრინდაშვილი, დარეჯან თვალთვაძე, რიტორიკის შესავალი, თბილისი, 2005, 347 გვ.
სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია/პირობები (არსებობის შემთხვევაში)	სტუდენტებთან კონსულტაციები გაიმართება ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული ცხრილის მიხედვით. სასემინარო მასალები განთავსებულია თსუ ელექტრონულ პლატფორმაზე. სემინარზე მუშაობა მიმდინარეობს ელექტრონული ფორმატით. სტუდენტები შესრულებულ დავალებებს ელექტრონულად ტვირთავენ კურსისთვის შექმნილ პლატფორმაზე. სტუდენტების მიერ კურსის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი გაივლის შემოწმებას პლაგიატის შემმოწმებელ პროგრამაში Turnitin.

სასწავლო კურსის შინაარსი

ლექციის/სემინარის/ პრაქტიკუმის/ლაბორატორიული სამუშაოს და ა. შ. თემა	ლიტერატურა (შესაბამისი გვერდების მითითებით)
I ლექცია (1 საათი)	
შესავალი ლექცია: 1. კურსის მიზანი და ამოცანები, პრობლემის განსაზღვრა; 2. სამეცნიერო კვლევის მოსამზადებელი ეტაპი; კვლევის საგნის/საკითხის განსაზღვრა; 3. სამეცნიერო კეთილსინდისიერება, პლაგიატი. 4. სამეცნიერო მასალის მოძიება - როგორც ტრადიციული, ისე ელექტრონული ბაზა (ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბაზები, სპეციალიზებული ლექსიკონები, ენციკლოპედია, სამეცნიერო ჟურნალები და კრებულები, სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, ანგარიშები, სამეცნიერო ცნობარები და ა. შ.).	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი*
I-II პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებულ სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ შეთავაზებული თემატური სავარჯიშოები (მასალის მოძიება, ელექტრონული ბაზების გამოყენება (სათნადო ტექნიკური საშუალებების გამოყენებით). ***დავალება:*** 1. საგამოცდო სტატიის თემატიკის შერჩევა; 2. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება.	http://e-learning.tsu.ge/
II ლექცია (1 საათი)	
1. სამეცნიერო სტილი; 2. ენობრივი კლიშეები; 3. სამეცნიერო ნაშრომის ენობრივი მახასიათებლები; 4. სამეცნიერო ტერმინოლოგია; 5. ტერმინოლოგიის შექმნა - ტრადიციები და შესაძლებლობები.	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი* *დამხმარე ლიტერატურა:* • *თენგიზ სანიკიძე, ინგა სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი, 2009, გვ. 8-15;* • *ნანა გაფრინდაშვილი, დარეჯან თვალთვაძე, რიტორიკის შესავალი, თბილისი, 2005, გვ. 57-59.*
I I I –I V პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი	http://e-learning.tsu.ge/

(ლექტორის მიერ მომზადებულ სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ მითითებული სამეცნიერო ტექსტის ანალიზი სტილისა და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით; ***დავალება:*** 1. რამდენიმე უცხოური სამეცნიერო ტერმინის თარგმნა და დამუშავება (feedback, language acquisition, background, cross cultural, marginal, naration და ა. შ.). 2. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება.	
III ლექცია (1 საათი)	
1. სამეცნიერო კვლევის მეთოდები და მათი გამოყენება სამეცნიერო ნაშრომში (მიმოხილვითი ლექცია).	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი* *დამხმარე ლიტერატურა:* *ლია წულაძე, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, თბ. 2008* http://css.ge/files/BooBo/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_ssaxelomzg.pdf
V– V I პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებულ სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ მითითებულ სამეცნიერო ტექსტში გამოყენებული კვლევის მეთოდების დადგენა და ანალიზი. ***დავალება:*** 1. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება. 2. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული კვლევის მეთოდების განსაზღვრა, გააზრება და აღწერა,	http://e-learning.tsu.ge/
IV ლექცია (1 საათი)	
1. სამეცნიერო ნაშრომის მიზანი; 2. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა:	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი* *დამხმარე ლიტერატურა:* *ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ნ.*

	შარაშენიძე, აკადემიური წერა, თბ. 2009, გვ. 116-138;
VII-VIII პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებული სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ მითითებული სამეცნიერო ნაშრომის ანალიზი ლექციაზე მოსმენილი საკითხების მიხედვით; ***დავალება:*** 1. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება.	http://e-learning.tsu.ge/
V ლექცია (1 საათი)	
სამეცნიერო ნაშრომი: 1. სამეცნიერო ნაშრომის ტიპები და მოთხოვნები; 2. ლიტერატურის მიმოხილვა	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი*
IX-X პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებულ სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ მითითებული სამეცნიერო ნაშრომის ანალიზი ლექციაზე მოსმენილი საკითხების მიხედვით. ***დავალება:*** 1. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება. 2. ლიტერატურის მიმოხილვის შექმნა	http://e-learning.tsu.ge/
VI ლექცია (1 საათი)	
სამეცნიერო ნაშრომი: **1 .** რეცენზია	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი*
XI-XII პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებულ სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ შეთავაზებული თემატური სავარჯიშოები (ტექსტის კრიტიკული დამუშავება).	http://e-learning.tsu.ge/

დავალება: 1. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება. 2. ლიტერატურის მიმოხილვის შექმნა	
VII ლექცია (1 საათი)	
სამეცნიერო ნაშრომი 1 . სამეცნიერო სტატია	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი*
XIII პრაქტიკუმი (1 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებულ სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ შეთავაზებული თემატური სავარჯიშოები (ტექსტის კრიტიკული დამუშავება). *დავალება:* 1. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება. 2. ლიტერატურის მიმოხილვის შექმნა	http://e-learning.tsu.ge/
კოლოკვიუმი (1 საათი)	
VIII ლექცია (1 საათი)	
სამეცნირო ნაშრომი 1. სამეცნიერო ნაშრომის ტიპები და მოთხოვნები; 2. საკონფერენციო თეზისები; 3. ანოტაცია	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი*
XIV- XV პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებულ სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ მითითებული სამეცნიერო ნაშრომის ანალიზი (მიზანი, სტრუქტურა, შინაარსის შესაბამისობა მიზანთან); *დავალება:* 1. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება. 2. ლიტერატურის მიმოხილვის შექმნა	http://e-learning.tsu.ge/

3. სტატიის ძირითადი ნაწილის გეგმის შედგენა	
IX ლექცია (1 საათი)	
1. დისერტაცია, მოთხოვნები, მისი სტრუქტურა და მახასიათებლები.	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი*
XVI- XVII პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებულ სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ შეთავაზებული თემატური სავარჯიშოები (სამეცნიერო ნაშრომის ტექსტის ანალიზი). ***დავალება:*** 1. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება. 2. სტატიის ძირითადი ნაწილის შედგენა	http://e-learning.tsu.ge/
X ლექცია (1 საათი)	
1. სამეცნიერო ნაშრომის ტექსტის ორგანიზება: საკვლევი საკითხის/ძირითადი დებულების ჩამოყალიბება, ლოგიკური ბმები და დასკვნები, აბზაცის ფუნქცია სამეცნიერო ნაშრომში. 1. არგუმენტირებული მსჯელობის ძირითადი პრინციპები; 2. არგუმენტი.	• *ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი* *დამხმარე სახელმძღვანელო: ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, ანალიტიკური წერა, თბ. 2012*
XVIII- XIX პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებულ სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ შეთავაზებული თემატური სავარჯიშოები (სამეცნიერო ტექსტის კრიტიკული დამუშავება); ***დავალება:*** 1. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება. 2. სტატიის შექმნა	http://e-learning.tsu.ge/
XI ლექცია (1 საათი)	
1. სამეცნიერო აპარატი (ბიბლიოგრაფია, ლიტერატურის მითითება, ციტირება, სქოლირება, საძიებელი, ცხრილები და დიაგრამები (სათანადო ტექნიკური საშუალებების გამოყენებით);	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის*

2. სამეცნიერო ეთიკა (ტონი, პლაგიატი)	*სტუდენტებისთვის, რიდერი*
XX - XXI პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებულ სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ შეთავაზებული სამეცნიერო ტექსტის მიხედვით ბიბლიოგრაფია, ლიტერატურის მითითება, ციტირება, სქოლირება; საძიებლის, ცხრილებისა და დიაგრამების შექმნა. ***დავალება:*** 1. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება. 2. სტატიის ძირითადი ნაწილის შედგენა	http://e-learning.tsu.ge/
XII ლექცია (1 საათი)	
1. სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულად დამუშავების უნარი - კრიტიკული აზროვნება, კითხვა და წერა.	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი* *დამხმარე სახელმძღვანელო: ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, ანალიტიკური წერა, თბ. 2012*
XXII - XXIII პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებულ სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ შეთავაზებული თემატური სავარჯიშოები; ***დავალება:*** 1. საგამოცდო სტატიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება. 2. სტატიის ძირითადი ნაწილის შედგენა	http://e-learning.tsu.ge/
XIII ლექცია (1 საათი)	
1. სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებლად მომზადება ელექტრონულ და ბეჭდურ ფორმატში; 2. ნაშრომის რედაქტირება.	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი*
XXIV - XXV პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ლექტორის მიერ შეთავაზებული თემატური სავარჯიშოები;	http://e-learning.tsu.ge/

დავალება: 1. სტატიის ძირითადი ნაწილის შედგენა 2. სტატიის მომზადება პუბლიკაციისთვის	
XIV ლექცია (1 საათი)	
1. პრეზენტაცია; 2. არავერბალური კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და სტრატეგიები; 3. სამეცნიერო ნაშრომის საპრეზენტაციოდ მომზადების წესები	*ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რიდერი*
XXVI - XXVII პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებული სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ შეთავაზებული სამეცნიერო ტექსტის სხვადასხვა ტიპის პრეზენტაციისათვის მომზადება (ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობა); *დავალება:* 1. სტატიის ძირითადი და დასკვნითი ნაწილის შედგენა	*ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ფუნქციური წერა, www.cciir.ge.*
XV ლექცია (1 საათი)	
1. საგრანტო განაცხადის მომზადება; 2. პროექტის შექმნის ძირითადი პრინციპები;	*ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ფუნქციური წერა, www.cciir.ge.*
XXVIII - XXIX პრაქტიკუმი (2 საათი)	
1. ხშირად დაშვებული ენობრივი შეცდომების ანალიზი (ლექტორის მიერ მომზადებულ სადიაგნოსტიკო ტექსტში ენობრივი შეცდომების მოძებნა და ანალიზი); 2. ლექტორის მიერ მითითებულ თემაზე საგრანტო განაცხადის/საქმიანი წერილის მომზადება; 3. შემაჯამებელი დისკუსია	http://e-learning.tsu.ge/